№ 43. თებერვლის 24, ქვირა. 1866—1885 თებერვლის 24, ქვირა. № 43.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯიშვილის სახლში.
ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე ცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე ცალკეულზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული-უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 კაპ. ბოლოს სტრიქონისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

„დროების“ ფასი ქარტის პირველიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი, სოფლის მასწავლებელთათვის 6 მანათი.

წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ქართლ კახეთის სამღვდელოთა კრების გამო

როგორც გაზეთმა «დროებამ» გვაცნობა, წარსული თვის 16-ს სხდომაზედ ქართლ-კახეთის სამღვდელოებას ჰქონია სჯა, სხვათა-შორის, რელიგიურ გულგრილობის გავრცელებაზედ ხალხში, რომლის მიზეზებადაც დაუსახელებია: ა) მღვდელთა მიერ ქადაგების შეუძლებლობა; ბ) კვირა-უქმით სოფლის სასამართლოებისა და სამიკიტნოების მოწყობა ეკლესიების მახლობლად და გ) ჩინოვნიკური მოქმედება სამღვდელოებისა მრევლის წინაშე ეხლანდელის წეს-წყობილობის წყალობით და აქედამ წარმომდინარე უსიამოვნება მღვდლისა და მრევლის შორის. ამ მიზეზების მოსასპობლად დაუდგენია კრებას: ამას იქით სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენა ქართულად ისწავლებოდეს და არა რუსულადაო, „კოდის პური“ ფულად შეიცვალოსო და სოფლის სასამართლოები და სამიკიტნოები წირვის გამოსვლამდე დაკეტილ იქმნაო.

როგორც მიზეზების შესახებ, ეგრეთვე მათ მოსასპობელ ნომებზედ გვსურს წარმოვსთქვათ რამდენიმე სიტყვა.

პირველი მიზეზი ნამდვილად არის გამოკვლეული და მისი მოსასპობელი ზომაც ჭეშმარიტად არის დასახელებული. ამისათვის მაზედ არაფერი გვეთქმის გარდა სურვილისა, რომ ეს გარდაწყვეტილება სამღვდელოებისა, რაც შეიძლება ჩქარა მოვიდეს სისრულეში.

რაც შეეხება მეორე მიზეზს და მისს მოსასპობელს საშუალებას, ჩვენ ვერ დავეთანხმებით მათ ზედ სამღვდელოებას, მისთვის რომ არც დასახელებული მიზეზი მიზეზად ჩაითვლება, და არც მის მოსასპობლად ნაჩვენები საშუალება შეჰმატებს რასმე საქმეს. ის მოვლენა, რომ ხალხი იკრიბება კვირა-უქმობით სასოფლო სასამართლოებში ან სამიკიტნოებში და არა ეკლესიებში, მიზეზი კი არ არის ხალხის რელიგიური გულ-გრილობისა, არამედ შედეგია სხვა მიზეზისა, და ძალდატანება მღვდელთაგან, ამ მოვლენის მიზეზის გაუუქმებლად, რომ ხალხმა იაროს ეკლესიებში, ეგვანება ნერონის არტისტობას.

აქსიომად ითვლება ის მოვლენა კაცის ბუნებისა, რომ იგი აკრძალულისადმი მიილტვის და დაძალადებულს კი ზურგს აქცევს. თუ კი გულით არა ჰსურს კაცს ეკლესიაში წასვლა, სასამართლოებიც და სამიკიტნოებიც რომ დაუკეტოთ კვირა-უქმობით, მაინც არ წავა,—დაწვება და დაიძინებს, ან წინა დღითვე მოიტანს არაყსა და ღვინოს, შინ დაჯდება და დაითვრება; ან „სასოფლოზედ“ დაიწყებს ლაყბობას. ამ უკანასკნელს გვიმტკიცებს შემდეგი: ზოგ სოფელში სამიკიტნო სრულებით არ არის და ზოგჯერ კვირა-უქმე დღეს არც სამართლობენ ამისთანა სოფლებში. წაბძანდებით ეკლესიაში და ერთ კაცს ვერა ჰნახავთ იქ, გარდა კრებულისა; გახვალთ „სასოფლოზედ“ და ჰნახავთ, რომ ხალხით სავსეა. რამ დაუშალა მათ ეკლესიაში წასვლა?...

ჩვენის აზრით ზემოთ მოხსენებული სამღვდელოთა დადგენილება მხოლოდ იმ სარგებლობას მოუტანს გლეხს, რომ მიაჩვევს ძილს, უფრო ძლიერს ლოთობას და ამასთანავე სრულიად დაუკეტავს სასოფლო სასამართლოს კარებს; აი როგორ: გლეხი, რომელსაც სოფლის სასამართლოში საქმე აქვს, საქმობს მხოლოდ შუადღემდის, შემდეგ შუადღისა ბრუნდება შინ და ჰფიქრობს სახვალიო საქმეზედ. დაუკეტეთ ახლა მას სასამართლო კვირა-უქმე დღეს წირვის გამოსვლამდის. სულ რომ მცირედ ჩავაგდოთ, წირვის გამოსვლა ათ საათამდის მაინც გასტანს. რაღა უნდა მოასწროს 2—3 საათის განმავლობაში სოფლის მოსამართლემ იქ, სადაც ჭრიან შვილები ბლომად მოიპოვებიან. სამღვდელოებას კი ჰმართებს იზრუნოს ხალხის კეთილდღეობისათვისა, როგორც მწყემსსა კეთილსა...

მესამე მიზეზიც ნამდვილად არის გამოკვლეული, მაგრამ მისი მოსასპობელი საშუალება კი ვერ არის ნაჩვენები ყოველის მხრით. მარტო «კოდის პურის» შეცვლა ფულზედ ვერ მოსპობს მღვდლისა და მრევლის შორის იმ უსიამოვნებას და სიძულვილს, რომელნიც ახლა სუფევენ მათში.

„კოდის პურის“ ვადახდა ისე არ უძნელდება გლეხს, როგორც—სხვა მოულოდნელი გარდასახადისა მღვდლის სასარგებლოდ, და უკანასკნელთ შორის, ნამეტნავად სამკვდროსი, განსაკუთრებით ამ ბოლონდელ განკარგულების ძალით.

რადგანაც გლეხმა კაცმა იცის, რომ იგი მოვალე არის გარდახადოს ყოველ წლივ თითო კოდი პური მღვდლის სასარგებლოდ, ცდილობს, რაც კი შეუძლიან, წინადვე დაიჭიროს თადარიგი «კოდის პურის» გარდახდისა და კიდეც იხდის, თუ სიკვდილმა ან სხვა გარემოებამ არ დასცა იგი უფრო მეტად მატერიალურის მხრით. არაფერი არ აღარიბებს გლეხს ისე, როგორც სიკვდილი. სხვა ხარჯის გარდა დამარხვის დროს, რომელიც შეიძლება შინვე მოახერხოს, ცხედრის პატრონმა უნდა მოამზადოს მღვდლისათვის სამი მანათი ფული, რომელიც იშვიათად ექნება გლეხს შინ ამისთანა შემთხვევის დროს. მომეტებული ნაწილი მიდის, სესხულობს ფულის პატრონისაგან და რამდენიმე თვის შემდეგ იხდის ერთი-ორად. მოხდება ისე, რომ ერთ ოჯახში წელიწადში კვდება 3 4, რის გამოც ოჯახის პატრონს ეხარჯება მარტო მღვდლის გასტუმრებაზედ 9-12 მანათამდე. შემდეგ ამ ფულს გლეხი იხდის ერთი-ორად სხვის სასარგებლოდ. ამას მივუმატოთ „კოდის პური“, სხვა წვრილმანი გადასახადი მღვდლის სასარგებლოდ და დაეინახავთ სადამდისა სჭრის ერთი გლეხისათვის წლიური მღვდლის გარდასახადი მაშინ, როდესაც მეორეს სულ 2-3 მანათი უჯდება. აი ნამდვილი ფაქტი: ერთ სოფელში ერთი თვის წინად ერთი ღარიბი კაცის სახლში მოკვდა სამი ბავშვი ყვავილით. ბავშვების პატრონმა სამივეს სამკვდრო ახალი წესით წინადვე ჩააბარა მღვდელს ვალად აღებული. რამდენიმე დღის შემდეგ ამავე გლეხს მოუკვდა მეოთხე შვილი. რადგანაც აღარა ჰქონდა შესაძლება და აღარც მომატებული ვალი ანდა ვინმემ, შეეხვეწა მღვდელს, რომ უსასყიდლოდ შეესრულებინა გარდაცვალებულისათვის ქრისტიანული წესები; მღვდელმა უარი განაცხადა. გლეხი იძულებული შეიქნა თითონ დაემარხა საბრალო ბავშვი ქრისტიანული წესების შეუსრულებლად. მოდით ახლა ამ გლეხს დაუკეტეთ კვირა-უქმობით სასამართლოც და მიიყვანეთ ეკლესიაში!.. მეორე ფაქტი: ერთ სოფელში წარსულ წელს გადაიწვა ოცამდის გლეხის სახლი ისე, რომ პატრონებმა სულების მეტი ვერა გადაანარჩუნეს-რა ცეცხლს. შინც კი გაიგო ეს უბედურება გლეხებისა გაზეთების საშუალებით, უგზავნიდენ აქეთიქიდგან დაზარალებულთ უსახელო წერილებით ფულს. თვით პოლიციამაც და საზოგადოებამაც დიდი შემწეობა მისცეს დაზარალებულთ სახემწიფო ვალდებულების გადახდაში. ამავე დროს ადგილობრივმა მღვდელმა, რომელსაც არც ცოლი ჰყავს, არც შვილი, არც სხვა ვინმე თავის თავის მეტი, და რომელსაც შვიდასრვაასი თუმანი ბანკში აქვს და ერთი იმდენიც შინ უწყვია, მოითხოვა ჩაფარი და მის შემწეობით გადამწვრებს ტყავი გააძრო, ვიდრე სრულებით აო ჩააბარეს მას „კოდის პურები“. ეაკობრიულ სიყვარულს ამისთანა საქმის მომქმედის მღვდლისას ამტკიცებენ ჩაფრის სიტყვები ჩემდამი მომართულნი: „რა ულმერთოობაა! ეაცს რომ მჭადი არა ჰქონდეს საჭმელად, განა იმას ღა ეთხოვება რამე? სახლში შევდიეარ და გირაო ვერ მიპოვნია, რომ გამოვიტანო. ცოდვით გული მიკვდება». ჩაფარიც კი ამას ამბობს მაშინ, როდესაც სულიერი მამა ტყავს აძრობს საცოდავ გლეხებს. რა გულით და თვალით უნდა უყურონ ხსენებულ სულიერ მამას ტყავ-გამძვრალმა გლეხებმა თუნდ გარედ, თუნდ ეკლესიაში, ძალათაც რომ შევრეკოთ?..

მინამ ყოველიფერი მღვდლის საწესო: „კოდის პური“, სამკვდრო, მარილის საკურთხებელი, (რომლითაც ზოგიერთი მღვდელი საქმეს უჭირებს გლეხებს; თუ მანათი არ მისცეს საკურთხებელი, მარილს არ უკურთხებენ),—სანათლობო, სახლის გასანათლი და სხვ., გარდა ჯვარის-საწერისა, სულ ფულზედ არ შეიცვლება და სახემწიფო გადასახადთან ერთად არ იქნება გლეხებისაგან შეძლებისა-დაგვარად გარდახდილი, ასე რომ მოიხსპოს სრულებით პირ-და-პირი დამოკიდებულება მღვდელთა მრევლისადმი თვისი საწესოს მიღებაზედ,—არ მოისპობა ის უსიამოვნობა და სიძულვილი, რომელნიც ამ ჟამად მრევლთა და მღვდელთ შორის სუფევენ. ვიდრე ეს უკანასკნელნი არ მოისპობიან და მათ ადგილს არ დაიჭერენ სიამოვნება და სიყვარული, ვერა გზით ვერ აკისრებინებთ ხალხს ეკლესიაში სიარულს და თუნდა პოლიციაც ჩაერიოს საქმეში და ის განკარგულება მოახდინოს, რომ გზირები ერეკებოდენ ხალხს ძალით ეკლესიაში,—რელიგიური ინდიფერენტიზმი უფრო გაძლიერდება ხალხში, არამც თუ იკლებს.

არის კიდევ ერთი მიზეზი ხალხის მიერ ეკლესიაში უყოლობისა, რომელსაც კრებამ მხარი აუქცია. ეს არის გალობის განდევნა ეკლესიებიდგან. არამკოთუ რელიგიურ გრძნობათა ამშლელს, ყურთ დამატკბობელ გალობასაც ვერ შეჰხვდებით თქვენ ვერა ეკლესიაში; რამდენი „პრიჩეტნიკიც“ არის, იმდენი კილოა გალო-

ბისა. და ეს უკანასკნელიც უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს კაცზედ: თითქმის გეხშობათ რელიგიური გრძნობა—როდესაც გესმით მარტო ერთი მეფსალმუნის ყვირილი; რადგანაც შემოსაელის გადიდების გულისთვის თითქმის ყველგან მოსპეს მლოდღლებმა მეორე მეფსალმუნის ადგილი, იშვიათად შეხვდებით იმისთანა ეკლესიას, სადაც ორი მეფსალმუნე იყოს.

ყველასთვის ცხადია, რა გაელენაც აქვს ჰარმონიულ გალობას ხალხზედ ან მის მიერ ეკლესიაში სიარულის შესახებ, ან ეკლესიაში მყოფობის დროს. მაშასადამე გალობის შესახებაც უნდა ეთქვა რამე კრებას...

ნ—ძე.

ს. ჯ—ნი.
თებერვლის 5-ს.

შინაური ქრონიკა

═ თუ რა გაელენა აქვს ფოსტის უყურადღებობას ჩვენის სოფლების ცნობის-მოყვარეობის გაღვიძებაზე და მათს გონებრივ განვითარებაზე, მტკიცდება შემდეგი გარემოებით: მაშინ, როდესაც რკინის ან ფოსტის გზებზე მდებარე სოფლებში, რომელსამე აბაშაში, ჩეხატაურში, ან ხაშურში ხელის-მომწერები ჩვენს გაზეთს ათობითა და ოცობითა ჰყავს, იმისთანა შესანიშნავს და განათლებული (?) ხალხით დასახლებულს დაბაში როგორიც საჩხერეა, ერთი ეგზემპლიარიც არ მიდის. ჩვენ ეს ამბავი სხვაფრივ ვერ აგვიხსნია, თუ არ იმით, რომ რკინის გზის სტანციიდამ ამ დაბამდე ფოსტა არ მიდის და ხელის მომწერლებს გაუძნელდებათ ყოველთვის კაცის გაგზავნა გაზეთის მისაღებად.

═ ამ დღეებში გაირჩა თბილისის სასამართლო პალატაში საქმე თ. ნ. მინგრელსკისა და აზნაურ ვეგელიებისა, რომელთაც დიდი ხანია რაც დავა აქვთ ძეიბიის მთაზედ. ბეგელიების ვექილები (თ. თუმანიშვილი და ბ. ყარაბეგოვი) ამბობდენ რომ ეს მთა ბეგელიებისადმი ნაბოძებია სამეგრელოს უწინდელ მთავრებისაგან და თ. მეგრელსკის ვექილი ბ. ბარბოვსკი კი წინააღმდეგს ამტკიცებდა. ბეგელიებისაგან წარმოდგენილი საბუთების განსახილავად, მათ გადასათარგმნად და ლევან დადიანისა და დავით დადიანის ხელ მოწერილების შესამოწმებლად ნამდვილ დოკუმენტებთან მოწვეულნი იყვნენ ექსპერტებად ბ. დიმ. ბაქრაძე, თ. რაფ. ერისთავი და ი. ბ. მაჩაბელი. ექსპერტებმა ერთხმად საეჭვოდ იცნეს, რომ ბეგელიებისაგან წარმოდგენილი დოკუმენტები მართლა ლევან და დავით დადიანისაგან იყვნენ ხელ-მოწერილნი; რაც შეეხება თარგმანს ნამდვილად ცნობილი დოკუმენტისას, იგი არ ამტკიცებდა რომ დავით დადიანს მართლა ებოძებინოს ძეიბიის მთა ბეგელებისათვის, არამედ მხოლოდ იმას, რომ დადიანს გადაუცია ვასილ ბეგელიას თხოვნა უზენაესს სასამართლოსათვის განსახილველად და გარდაწყვეტილების დასადგენად. პალატამ ექსპერტების აზრის მოსმენისა და მოწინააღმდეგეთა ბაასის შემდეგ, საქმე ბეგელიების სასარგებლოდ გადასწყვიტა.

თავს-მჯდომარედ პალატისა ამ საქმის გარჩევის დროს იყო რაშეტი. წევრებად სმიტენი და ქრიეეკი.

═ ეს არის ეხლა მივიღეთ ახალი სამეცნიერო შრომა „О производныхъ изомерныхъ кротоновыхъ кислотъ“ ჩვენის ახალგაზდა სწავლულის პეტრე მელიქიშვილისა, რომელიც ოდესის უნივერსიტეტში ქიმის ასწავლის.

═ ამ ჟამად პეტერბურგში თბილისის საადგილ მამულო ბანკის გირაენობის ფურცლები იყიდება ას მანათიანი 86 მან. 50 კაპეიკიდამ 87 მანათამდე. თბილისში კი ამ ფასს 50 კაპეიკიდამ ერთ მანეთამდე აკლდება.

═ რაჭის მაზრიდამ გვწერენ, რომ სამს თებერვალს აზნაურს ი. ჯ—ძეს ერთი ხიდეშელი გლეხი მოუკლავს. მიზეზი ისა ყოფილა, რომ ხიდეშლებს და ჯ—ძეს სადაო საქმე ჰქონიათ და ეს საქმე პირველთ მოუგიათ. ჯ—ძეც ამდგარა და მთელი სოფლის ჯავრი ერთს გლეხზედ უყრია.

═ მანგლისიდან გვატყობინებენ, რომ ერთს ახალგაზდას, სასულიერო სემინარიაში ახალ კურს დასრულებულს მ. ტ—შვილს თავი ჩამოულრჩვია.

═ ს. მირზაანიდან გვწერენ, რომ ამ თვის 17 და 18 იქ აღმოუჩენიათ დედოფლის წყაროს რამდენიმე წლის წინად გამცარცველი ხაზინის ქურდები და თვით მოპარული ფულიც. რომანიული შემთხვევა ყოფილა მიზეზი ამ ქურდობის კვალის აღმოჩენისა: წინა დღეებში სოფლად გავარდნილა ხმა, რომ დიაკვანმა N საყვარლად მოიტაცა თავის ცოლის დაო. ამ ხმებს ცოტათი არ იყოს საბაბს აძლევდა ის გარემოება, რომ N-ის ცოლის და ბოლოს დროს მასთან გადვიდა საცხოვრებლად. ძალის ძმის საჩივრის გამო გამომძიებელი მისულა N-ის სახლში და მისის ცოლის დისათვის ჩამოურთმევია ჩვენება, რომელშიაც, სხვათა შორის, უთქვამს—ჩემს ძმას გაცარცეული ხაზინის ფულები ჰქონდა დამარხული დარბაზის ბოძის ქვეშ, სრულიად ახალი, ასიგნაციები პარკებითაო. ძალალის ფულები დამბალიყო და ერთ დღეს, როცა გასაშრობად ამოიღეს, მე რამდენიმე თუმანი ავიღე და სიძეს გადავეცი. ეს შემიტყო ძმამ და კინაღამ დამალრჩო, ფული სხვას რად მიეცი. მეც ავდექი და სიკვდილისაგან გადასარჩენად, სიძეს შევაფარე თავი“. ამ ჩვენების შემდეგ ადგილობრივი პოლიცია დაფაცურებულა, ადვილად მიუგნია იმ ნაჩვენებ ადგილისათვის, სადაც ფულები ყოფილა შენახული, და როგორც ამბობენ, ვითომც დამნაშავენიც გამოუტეხია.

═ დ. ზესთაფონიდან მოგვივიდა ერთი წერილი, რომლის ავტორი საშინელის ფერადებით ხატავს შორაპნის მაზრაში მდებარე მღვიმეკის დედათ მონასტრის კრებულისა და წინამძღვრის ურთიერთ-შორის განწყობილების სურათს. წინამძღვარი ჩაგრავს მთელს კრებულსა, მუდამ-დღე, ხსნილია თუ მარხვა, უქმე თუ საქმის დღე—საჭამადად მათ მხოლოდ ცივს ლობიოს და მჭადს აძლევს, თუმცა მონასტერს კაი ძალი შესავალი აქვსო. ამის გამო ნახევარი ნაწილი კრებულისა დაავადმყოფდა, მაგრამ ავადმყოფობაშიაც მათ იგივე საჭმელი ეძლევათ და ბევრი ჭლექშიაც ვარდებაო. წინამძღვრის გარდა ამ საქმეში ავტორი ამტყუნებს მონასტრის მამა დეკანოზს, რომელიც, მისის სიტყვით, ყურადღებას არ აქცევს კრებულის გაჭირვებულს მდგომარეობას, თუმცა კი დაწვრილებით იცის ყველაფერი გარემოება მონასტრისაო.

ნამდვილია თუ არა ყველაფერი ეს, რაც ჩვენ ამოვიღეთ მოხსენებულის წერილიდამ მონასტრის შესახებ, რედაქციამ არ იცის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, რაკი იმერეთის ერთადერთს დედათ-მონასტერზე ამისთანა ხმებია საზოგადოებაში, სასურველია, რომ იმერეთის სასიქადულო მწყემსთ-მთავარი დანიშნავდეს სარწმუნო პირებს ამ მონასტრის შინაგან ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის გამოსაძიებლად. რა მხრითაც უნდა ავიღოთ ეს გამოძიება, სარგებლობის მეტს არაფერს მოიტანს: თუ ეს ხმები, რომელიც აღენიშნეთ ჩვენს გაზეთში, „მართალი არისო“, იტყვის გამოძიება—მაშინ სასულიერო მართლ-მსაჯულება მიეშველება დაჩაგრულთ მონოზნებს და ღირსეულს სასჯელს მიაყენებს წინამძღვარს; და თუ გამოძიება დარწმუნდება, რომ ეს ხმები გამოგონილნი არიან, მაშინ წინამძღვარს აღარ დასჭირდება ცილისწამებისაგან თავის გამართლება, რადგან თვით გამოძიება იქნება მისთვის მჭევრ-მეტყველური გამამართლებელი საბუთი...

„დროების“ კორესპონდენცია

ბორი. თებერვლის 18-ს. ბევრჯელ ყოფილა გაზეთებში დაბეჭდილი, რომ ზოგიერთი მაზრის ადმინისტრაციის წერილი მოხელეები იმისთანა საქმეს ჩადიან, რომელიც მათთვის კანონს არ მიუნიჭებიაო. ბევრჯელ გალანძღულან კიდეც უკანონო მოქმედებისათვის, მაგრამ იგინი თავისას მაინც არ იშლიან, რაც უნდათ იმას შვრებიან.

ამას წინად ერთმა ამ ეპაჭატონთაგანმა გვარად ბ. ბორის სამმართველოს წინ, წააქცია საცოდავი შიშველ-ტიტველი, მშიერი, ღატაკი და მეტის-მეტის სილარიბისაგან მიწასთან გასწორებული გლეხ-კაცი სახელად მარკოზა, მისდგა ჯოხითა და ეცა შინა თავ-პირში, ბეჭებში, შერე შესდგა წიხლით და პირიდამ სისხლი არწყევინა.

გასაკვირველი ის იყო, რომ თუმცა ეს საცოდავი გლეხი კაცი, მისთანას თუ ბევრს არა, ორსა-და-სამს თამამად მისცემდა პასუხს, მაგრამ ამ შემთხვევაში სრულებით არ ცდილა თავის თავის დაცვას.

როცა ვეკითხე, რას ნიშნავს ეგრეთი ქცევა მოხელისა, რას ემართლებიან მაგ საცოდავსა მეთქი, მაშინ-კი დაწვრილებით მიამბეს, საქმე როგორც ყოფილა. მეც მსურს მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა იმ ბარბაროსულ ქცევაზედ, რომელიც მოახდინა ხსენებულმა მოხელემ. აი საქმე რაში მდგომარეობს: ბ—ისაგან დაჩაგრული მარკოზა უჩიოდა სამართლის წესით ცემაზედ ერთს ბორში მცხოვრებელს მდიდარს სომეხს, გვარად ალიხანოვს და საქმეც ისე მიდიოდა, რომ თუ ბევრით არა, ერთი თვით მაინც უსათუოდ ჩასვამდენ ხსენებულს ალიხანოვს „აბანოში“. ბევრი ეცადა პატივ-ცემული ალიხანოვი, ბევრი მოციქულები უგზავნა, ბევრი ეხვეწა თავის მოჩივარს და ფულიც აძლია, რომ საქმე გაეუქმებინა, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს მოახერხა ასე: რადგანაც ამ ვვარ საჩივარს, ისეთი ხასიათი აქვს, რომ თუ მოჩივარი ვადაზედ არ გამოცხადდა სასამართლოში, საქმე ეძლევა საუკუნო დავიწყებას და მოჩივარს ეკარგება უფლება საქმის მეორედ გაახლებისა,—ამ საქმის გარჩევის ორი დღის წინ ბ. ბ. უცხადებს მარკოზას, რომ რადგანაც მის პასპორტს ორი კვირა ვადა გასვლია, აუცილებელად უნდა გაიგზავნოს მარკოზა საპყრობილეში და იქამ ეტაპით თავის სამშობლოში—იმერეთში. მარკოზამ უთხრა: „თორმეტი წელიწადია ბორში ვცხოვრობ, თქვენც იცით, რომ ჩემი ხელობა კუჩრობაა და მით ერთ ლუკმა პურსა ვსჭამ, ამ თორმეტი წლის განმავლობაში კეთილად და უვნებლად დამიმსახურია ერთგულება ჩემი უფროსებისა და სრულებით არავინ ყოფილა ჩემი მოჩივარი, იმედი მაქვს, რომ მთელი ბორი დავიყენო თავდებად და ერთი კვირის განმავლობაში მოვიტანო ახალი პასპორტი.“ ბ—მ სრულებით არ მიიღო მისი ლაპარაკი და ფეხების ბრაგუნით დაემუქრა იმავე წუთში საპყრობილეში გაგზავნას. მაინც კიდევ ბევრი ეხვეწა, რომ ორი დღე მაინც მიეცა ვადა, სანამ ალიხანოვთან საქმეს გაათავებდა და საქმის გათავების შემდეგ-კი უმალვე გავიდოდა ბორიდამ, მაგრამ ბ—მ სრულებით არ შეიწყნარა მისი ხვეწნა და ვედრება, იგი ელოდა დესეტნიკების მოსვლას, რომ მარკოზა საპყრობილეში წაეყვანათ. საწყალმა მარკოზამ კარგად გაიგო, რომ ეს ალიხანოვის ცემისათვის მოსდიოდა და რომ აეშორებინა შეურაცხება, ვიდრე დესეტნიკები მოვიდოდენ

მის შესაპყრობლად, დაჭრა ფეხი და გაიქცა. აბა ბ—საც ეს უნდოდა.

ბადის დროს მოსამართლემ მარკოზა ამოიკითხა, მაგრამ რომ არ გამოცხადდა, საქმე გამოირიცხა წარმოებიდამ.

შემდეგ ერთი კვირისა მოვიდა მარკოზა და მოიტანა ახალი პასპორტიც. საწყალს ეგონა, რომ საჩივარს ისევ გააახლებდა, მაგრამ, როდესაც გამოუცხადეს საქმის მოსპობა, მივიდა ბ—სთან და შესჩივლა: „შე დალოცვილო, რად მიყავი ამისთანა საქმე, იმდენი რა მოგცა ალიხანოვმა, რომ ასე დამლუპეო. აი ამ დროს და ამ საქმეზედ წააქცია და ცემით სხეული დაულურჯა. მისი სხეული, როგორც სამლებროში ჩავარდნილი მელია.

ამ შემთხვევის მნახველნი ბევრნი იყვნენ. მარკოზამ საჩივარი მიართო თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს. სხვათა მოწამეთა შორის ბორის ბორის გამომძიებელი ტერ-სტეპანოვიც ურევია. ერთის სიტყვით ვინც მოწმებად არიან ჩაწერილნი, სულ პატიოსანნი პირნი არიან და თუ საქმე სასამართლოს გარდაეცა, მაშინ მშვენიერად აიხსნება ბ—ს ბარბაროსული მოქმედება და აუცილებელად გამოასეირნებენ სამსახურიდამ (?). აგრეთვე ცხადად დამტკიცდება ისიც, რომ ბ—მ ბოროტ-მოქმედებით და ალიხანოვის პატივის-ცემით დააკარგვინა მარკოზას ვადა სასამართლოში.

ახლა, როდესაც საქმემ ასეთი მიმართულება მიიღო, მოხელე ბ. ეხვეწება მარკოზას, ოღონდ საჩივარზე უარი თქვი და რაც ზარალი მოგვიდა მე გადაგიხდიო, მაგრამ მარკოზა არ ურიგდება. ჯერ ამისთანა ბარბაროსული საქმე ჩაიდინეს და ახლა უნდა დანაშაული ფულით გამოისყიდონ? ხომ დაინახეს, რომ საწყალი მარკოზა თვით ფულით ბობოლა ალიხანოვმაც ვერ შეისყიდა? ბანა რა უნდა მისცენ მას ალიხანოვზედ მეტი?..

ამ საქმეზედ გუბერნატორმა მოსთხოვა ბ—ს პასუხი, მაგრამ როგორც გავიგე, ბ—ს მასალა შემოჰკლებია თავის თავის გამართლებისა და ულვიარებია: „ვცემე იმიტომ, რომ მაგინაო.“ ხმა არის გავრცელებული, რომ რადგანაც თვითონვე ულვიარებია თავის ცოდვები: „ვცემეო“, საქმისათვის ხელი მაგრა ჩაუვლიათ, თანამდებობიდამ ითხოვენ და ცემისათვის საქმე იგზავნება გამომძიებელთანაო. თუ მართალია, ღმერთმა ინებოს, კეთილად შეისმინოს გუბერნატორმა საჩივარი, რომ უ-მისოთაც მიწასთან გასწორებული ხალხი შინაურული უბედურებისაგან მაინც დაიხსნას. ერთი მოხელე დასაჯოს და ათასნი დაიხსნას მათის ბარბაროსულის ქცევისაგან.

რუსეთი

—

ფინანსთა სამინისტროსთან შემდგარა კომისია, რომელსაც შეადგენენ სახაზინო პალატების თავსმჯდომარენი და მოხსენებული სამინისტროის რჩევის წევრი ს. ოლხინი. ამ კომისიამ უნდა შეიმუშავოს რუსეთის გუბერნიებსა და მაზრებში გადასახადთა გამგეობის წესები. პრინციპიალურად უკვე გადაწყვეტილი არის, რომ პოლიცია ყოველგან გაანთავისუფლონ გადასახადთა მოკრებისაგან. ამიტომაც ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივ საფინანსო დაწესებულებებთან ერთად ადგენს ერცელს პროექტს, რომლითაც პოლიციის ეხლანდელი მოვალეობა ხარჯთა მოკრების შესახებ უნდა გადაეცესთ მოხსენებულ სამინისტროს მოხელეებს. მაზრებში, დაბებსა და სოფლებში ხარჯთა მოკრება, როგორც განზრახვა აქვთ, უნდა მიანდონ განსაკუთრებულ ზედამხედველებს, რომელთაც მინიჭებულნი ექნებათ ზოგიერთნი უფლებანი სასამართლოთა ბოქაულებისა, მაგალითად: უფლება ექნებათ აუწერონ ქონება მათ, ვინც დროზე არ შემოიტანს გადასახადს, დაესწრონ აწერის შემდეგ გასაყიდად დანიშნულ ქონების ვაჭრობაზე და დანიშნონ ეს უკანასკნელი (ვაჭრობა) იმ ადგილს, სადაც თვითონვე დაინახავენ საჭიროდ. ამ ზედამხედველთა უფროსებად დაინიშნებიან განსაკუთრებული ინსპექტორები. მთელი ეს ცვლილება გადასახადთა მოკრებაში შემოღებულ უნდა იქმნეს ამ 1885 წლის ივლისის პირველიდან რუსეთის იმპერიის ყველა ადგილებში. („რუს. კურ.“)

═ ერთი სასწავლო ოლქის მთავრობას გადაუწყვეტია, რომ გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებელთა უფროსებმა უთუოდ უნდა წარადგინონ ოლქის სამმართველოში ყოველ წლივ ივლისის პირველს და დეკემბრის 25 ბედაგოგიურ რჩევათა პროტოკოლები. სახალხო განათლების მინისტრს სასარგებლოდ უცვნია ეს განკარგულება მოხსენებული ერთის ოლქის მზრუნველისა და გადაუწყვეტია, რომ ასევე მოიქცნენ იმპერიის ყოველს სასწავლო ოლქში. („რუსკი კურ.“).

უცხოეთი

—

ინგლისი. მხოლოდ ორი-ღა გაზეთი მომხრეობს სამინისტროს მეთაურ ბლადსტონს — დანარჩენნი, როგორც გაზეთები აგრეთვე საზოგადოების უმეტესი ნაწილიც წინააღმდეგობას უწევს მას. სოციალ-დემოკრატები ამბობენ — რამდენს დამშეულ ხალხს ლუკმა პურს გავუჩენდით იმ ფულით, რომელიც ბლადსტონის წყალობით შეიწირა და მომავალშიაც შეიწირავს სულ უმნიშვნელო სუდანის ექსპედიციამ. რადიკალები ბრალსა სდებენ ინგლისის პრემიერს მასში, რომ მან უმტყუნა თვის იდეალებს, თვისგან გაკვლეულს გზას გადაუხვია. ბიგები გაიძახიან, რომ ბლადსტონმა მიუტევებელის ქარაჯშუტობით მსხვერპლად შეიწირა იმპერიის ცხოველი ინტერესებიო. ტორიებიც ამტყუნებენ ბლადსტონს, რომლის წყალობით დღეს ინგლისის სახელ-დიდებას შეფერხება დაეტყო და ყველა სახელმწიფოდგან ამ ქვეყანამ მტრობა და ზიზღი დაიმსახურაო. ცხადია — ეს ზემოხსენებული დასები ზომას გადადიან, მეტად აჭარბებენ, როდესაც ამ გვარად ამკობენ ამ გამოჩენილს სახელმწიფო კაცს, მაგრამ არც ის არის სინამდვილეს მოკლებული, რომ ინგლისი ერთობ კრიტიკულს მდგომარეობაშია ამ ხანად. ვის, თუ არ პირველს კაცს სახელმწიფოში დაედვას ბრალი ამ ყოფაში ჩავარდნისათვის. ესეც ცხადია, მაგრამ არც იმდენად გადაჭარბება ვარგა, როგორც ერთს ორატორს გადუჭარბებია ერთს მიტინგზე ამ დღეებში: ახირებულ ორატორს წინადადება შეუტანია: აგებულ იქმნას ძეგლი გენ. ბორდონისა, რომელსაც უკანიდამ ბლადსტონი სასიკვდილოდ სცემს ხანჯალს.

როგორც კი წინად მოვიხსენეთ ამ ჟამად ავღანისტანზეა მიპყრობილი მთელი ყურადღება არათუ მარტო ინგლისისა და რუსეთისა, არამედ სხვა ევროპის სახელმწიფოთაც. სუდანის საქმეთა ადგილი ეხლა ავღანისტანის საქმეებმა დაიჭირეს ინგლისის პალატებში და გაზეთებში...

ბაზ. „Times“-ს ტელეგრამით აცნობებენ ქალკუტიდამ (ინდოეთი): „აქ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისიდამ მოსულმა დეპეშამ, რომელიც აცნობებდა ლესარისა და ბრიტანიის მმართებლობის შუა ავღანთა საზღვრების შესახებ მოლაპარაკებაზე. ყველა დარწმუნებულია, რომ რუსეთი ხელ-მძღვანელობს ჩვენის გაჭირებულის მდგომარეობით ეგვიპტეში, ეხლა გვიპოვნა დრო და გვთხოვს მას, რის ასრულებაც შეუძლებელია. ლესარის პირობებს რო დაჰვეყვეთ, უთუოდ საჭირო გახდებოდა სამხედრო ძალის გაძლიერება, როგორც ევროპაში, აგრეთვე ადგილობრივაც, რომ ყოველს შემთხვევაში მზად ვიყვეთ. თუ სამინისტრო დაყაბულდება ეიცე-კოროლს ლორდ - დეფერინს, რომლის დიპლომატიური გამოცდილება საკმაოდ ცნობილია, შეუძლიან დიდი დახმარება გაუწიოს ამ საქმეს. ადგილობრივი გაზეთობა დიდის ყურადღებით ადევნებს თვალს საშუალო-აზიის საქმეების ვითარებას და ერცელს წერილებს უძღვნის რუსეთის წინადადებებს“.

— მსვე გაზეთი იწერება: „ჩვენი სამხედრო მდგომარეობა ამ ჟამად, ახალის კანონების წყალობით, სულ სხვა რიგია, ვინემ ყირიმის ომის ჟამს იყო. ჩვენი სარეზერვო არმია 40 ათასი გამოცდილის მეომარისაგან და მიღებულია 30 ათასი ჯარის კაცისაგან შესდგება. ასე-რომ გარდა ბუდმივის ძალისა, ჩვენ გვყავს კიდევ 70 ათასისაგან შემდგარი დახელოვნებული რაზმი, რომელიც პირველის საჭიროებისათანავე შეგვიძლიან გავისტუმროთ საბრძოლველად.“

ავღანისტანის საქმეების გამო დაბეჭდილია ერცელი წერილი აგრეთვე მეორე ინგლისურს გაზ. Pall-Mall-ში, აიდამაც მოგვყავს რამდენიმე სტრიქონი: „თუმცა სუდანშიო, იწერება ეს გაზეთი, ერთობ ცუდია ჩვენი მდგომარეობა, მაინც ბევრად სამჯობინოა ჩვენს გარემოებაზე ავღანის სამზღვრებთან. სუდანში, ცხადია, ჩვენ ძლიერს მტერთანა გვაქვს საქმე, მაგრამ ეს მტერი მაინც იმდენად ძლიერი არაა, რამდენადაც დიდი ევროპის და აზიის სახელმწიფოა. იმ სადაო ადგილზე, სადაც სერ ლეპსდენმა გაატარა მთელი ზამთარი, ჩვენ პირის-პირ ვუდგევართ ველური ხალხს, რომელსაც ზურგს უკან რუსეთი ჰყავს. საკმაოა მხოლოდ ერთის ყაზახ-რუსისა და ველური ავღანელ შორის მოხდეს შეტაკება, რომ ასტყდეს ომი, რომლის წინაალმდეგია ბლადსტონი. ჩვენი მდგომარეობა მართლაც რომ საშიშია. ომი არც ინგლისსა და არც რუსეთს არ სურთ, მაგრამ უბრალო შეტაკებას-კი სამზღვარზე უეჭველად შეუძლიან გამოიწვიოს იგი... სარწმუნო წყაროებიდამ ვიცით, რომ რუსებმა კარგა ძალზე გაიწიეს პენდესაკენ და მათის მოწინავე რაზმისა და ავღანელთ გარნიზონის შორის შეტაკება ყოველს წამს მოსალოდნელია. ჩვენ სრულიადაც არა ვფიქრობთ, რომ რუსეთს ჰსურდეს ჩვენი გაწვევა საომრად და იმაშიაც დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთი მეტად ნაკლებს ბოროტებას, ესე იგი თუნდა ავღანისტანთან ომსაც უყურებს, როგორც დიდს უბედურებას. და თუ რუსეთსა ჰსურს აიცდინოს ეს ომი — რა მიზეზია მაშ, რომ გენ. ქომაროვს არ მისდის ბძანება შეჩერებისა? თუ რუსეთი არ მოიქმედებს ამას, მაშინ იგი მოსპობს უკანასკნელს იმედს მორიგებისას ორ სახელმწიფოთა შორის და შეაგულიანებს იმ დასს, რომელიც მუდამ მტრობს რუსეთს. რუსეთისათვის სრულიად საჭიროებელო არ იქნება გენ. ქომაროვის ფეხის მოდგმა პენდეში ლორდ სალისბიურის დამყარებისათვის დაუნინგ-სტრიტში.“

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის საგენტოსი“.

თებერვლის 22-ს.

პეტერბურგი. უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო რჩევის გარდაწყვეტილებით მხოლოდ რუსებს ეძლევათ ნება, რომ ზღვის სანაპირო (პრიმორსკია) ოლქში და მისს მიდამო კუნძულებზე მისდიონ სამთო მრეწველობისა და ოქროს ძებნის საქმეს. უცხოელებს კი უფლება ექნებათ რომ შეიმუ-

შავონ ის მადნები, რომელნიც მათ დღესა აქვთ მიზომილი მანამდის, ვიდრე ახალი წესი სრულიად გარკვეული არ იქნება. ის უცხოელები კი, რომელთაცა აქვსთ საამისო უფლება, ამ წესის შემოღების წინად მოპოვებელნი, თუ ამ წლის ენკენისთვემდის ჯეროვანის წესით განაცხადებენ მადნების მდებარეობის ადგილს, შეიძლება რომ მათგან ნაჩვენები მადნების შემუშავების ნება მისცენ.

ასტრახანი. ამ ქალაქში მდინარე ვოლგა დაიძრა.

ლონდონი. გაზეთ „სტანდარდს“ გაეგონია, რომ რუსეთის ელჩს მინდობილი აქვსო გამოაცხადოს უგულითადესი სურვილი ინგლისთან მეგობრულად შეთანხმებისაო და რომ რუსების მხედართმთავრებს საშეალო აზიაში ნაბრძანები აქვთ წინ აღარ წაიწიონო.

თებერვლის 23-ს

პარიზი. უარს ჰყოფენ იმ ამბავს, ვითომც ტელონში ხოლერა გაჩენილიყოს.

შანხაი. კურბეს ესაადრა დაბრუნდა ნინდ-ჰოს შესართავთან, იან-ცზე-კიანღანის შესართავში კი მხოლოდ რამდენიმე ჯრეისერი დასტოვა.

ლონდონი. გრენვილმა გამოაცხადა ლორდთა პალატაში სინანული ბისმარკთან უთანხმოების შესახებ. გრენვილის აზრი კოლონიალურის პოლიტიკისა შეცდომით იყო განმარტებული კონფიდენციალურის დეპეშებით; იგი კი არა ბოროტ-მოქმედებდა, არამედ ამყარებდა გამოთქმულს პარლამენტში თავის აზრს ბისმარკის სიტყვებზედ, რომელთაც არა ჰქონდათ კონფიდენციალური ხასიათი გერმანიაში. ტყეილად ფიქრობენ, ვითომც ინგლისი გერმანიის მდგომარეობას ნაკლების პატივის ცემით უყურებდეს; ინგლისი, პირ-იქით, ძალიან კმაყოფილია გერმანიისგან მოპოებელის მეგობრებისა და გულწრფელად სურს განაგრძოს მეგობრული კავშირი ყველა სახელმწიფოებთან საზოგადოდ და განსაკუთრებით გერმანიასთან, რომელთანაც მას ბევრი საზოგადო ინტერესები აქვს და რომელიც მალე შეიქმნება ინგლისის მეზობელი თითქმის ქვეყნის ყველა ნაწილებში. გრენვილმა იმით გაათავა თავის სიტყვა, რომ იგი კვლავაც მშვიდობიანს და ბისმარკის თანახმა პოლიტიკას მიჰყვება.

„დროების“ ფოსტა.

ფოთს.თ. ხ—რიას. თქვენი წერილი არ დაბეჭდება.

ს. მარტვილს. გ. გ—ორს. ჩვენ თქვენზედ ნაკლებ ვრა გუსვამთ ჯ-ის გარდაცვალებას, მაგრამ მაინც თქვენს სიტყვას ვერ დაბეჭდავთ... უდგილობის გამო.

ნ. ლ—ავას. თქვენს ლექსს ვერ დაბეჭდავთ

ანს. დაწვრილებით დასწერეთ უველაფერი მაგ საქმის შესახებ და მაშინ დაბეჭდავთ.

ა—ქ—ს. ე. მ—ძეს. ბევრი დავიდარაბა მოსდევს იმისთანა უსაქმო „ბრიჩეტნიკებზე“ დაპარაკს, როგორც თქვენი ქალდის „ბრიჩეტნიკი“ ყოფილა.

ბ. ე—ავს. როგორც მუზის ბირველ ნაყოფს, თქვენს ლექსს ვრა უჭირს-რა და თუ ვერ ბეჭდავთ გაზეთში, ამით გულს მაინც ნუ გაიტეხთ.

მათ. წივ—ძეს. იგივე პასუხი.

ალ. ნ—შვილს. თქვენი კორესპონდენცია ვერ დაიბეჭდება.

ანონსები

რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ ბ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

დღეისთვის დანიშნული

კონკერტი

ქართულს თეატრში მონაწილეობის მიმღებთაგან დამოუკიდებელის მიზეზით არ შესდგება.

წინადვე ბილეთების მსყიდველთ შეუძლიანთ ფული იმავ პირებისგან მიიღონ, ვისგანაც ბილეთები უყიდიათ.

ს. მ. მოხეევ.

САМЫЙ ПОЛНЫЙ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ

РАДУГА ДАЕТЪ СВОИМЪ ЧИТАТЕЛЯМЪ **99** БЕЗПЛАТНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ ВЪ ГОДЪ И ОДНУ ПРЕМІЮ.

Иллюстрированный семейный журналъ, III годъ изданія.—Въ годъ 50 №№ | Подписная цѣна: въ годъ съ доставкою и пересылкою 5 р.

Допускается разсрочка: при подпискѣ 2 руб., затѣмъ 3 мѣсяца подрядъ по 1 р.

Адресъ редакціи: Москва, Столешниковъ пер., д. Корзинкина.

Ц. 10.209 (5—3).

თბილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს ვერის და მნაცვლის ხიდებზე გადასვლისათვის დადგენილს ბაჟს, რომელიც დამტკიცებულია კავკასიის ყოფილის ნამესტნიკის დ. მ. მიხეილ ნიკოლოზის-ძის-მიერ 1881 წლის, ოქტომბრის 19-ს.

1) მსხვილ საქონელზე:

ცხენზე, აქლემზე, ხარზე, კამეჩზე, ჯორზე, ვირზე:

უნაკირით ან ტვირთით.	2 კ.
უუნაგროდ, უტვირთოდ	1 ,,

2) წვრილ საქონელზე:

ცხვრებზე, თხებზე, ხბოებზე და ღორებზე:

ყოველ ხუთ სულზე.	2 კ.

ბატკნებზე, თიკნებზე და გოჭებზე:

ყოველ ხუთ სულზე.	1 ,,

შენიშვნა: წვრილ საქონლის გადაყვანისათვის ბაჟი მხოლოდ სრულის ხუთი სულისათვის გადაიხდება, 1-დამ 4 სულამდე ბაჟ-გადაუხდელად შეიძლება გადაყვანა; 5-დამ 9 სულ. წვრილ საქონელზე გადახდებათ 5 სულის კვალობაზე.

3) ფაეტონზე.	5 კ.
4) დროჟკაზე.	3 ,,

შენიშვნა: ერ ცხენს ზევით ფაეტონში თუ დროშკაში ყოველ ცხენზე გადახდება. . . . . 2 კ.

5) ფურგუნზე, ურემზე, დროგზე, და სხვ.

თუ ტვირთითა არის	9 კ.
— უტვირთოდ.	2 ,,

შენიშვნა: ბაჟისაგან განთავისუფლებულნი არიან: თულუხჩები ანუ წყლის ბოჩკები, ურნები ან საპალნეები ხოლოცით, ბალდახინები, დროგები ან ურმები, რომელზედაც მიცვალებული ესვენება, ცეცხლის-მქრობი რაზმი, ბიკრიკნი, ესტაფეტები, ფოსტა, სახაზინო ტრანსპორტები და ყოველ-დღე საძოვარზე ძიმავალი საქონელი. (1—1)

გაყიდვა 5% სახელმწიფო მოგზები ბილეთებისა

ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ბილეთები იყიდება ს. პეტერბურგის ბირჟის ოფიციალურ ფასად; ყიდვის დროს უნდა შემოტანილ იქმნას 20 მან. ბილეთზე, დანარჩენი ფული კი უნდა შემოიტანოს მყიდველმა თვე-და-თვე, როგორც თვითონ განსაზღვრავს — თითო თუმნობით, თუ ხუთ ხუთ მანათობით. ვადაზე შემოსატანი გადასახადის დამგვიანებელს ეძლევა კიდევ 30 დღე საშელავათოდ. ბეის მიტემის დღიდან ყოველივე მოგება, რომელიც სდება საყიდს ბილეთის, სრულად ეკუთვნის მყიდველს. კანტორის სასარგებლოდ ვრაფერი არ გამოერიცხება მომგებს. ბილეთის მყიდველს ეკუთვნის აგრეთვე ყოველივე მოსალოდნელი საკურსო ფასის მომატება ბილეთზე. მოგების ტირაჟი არის ხოლმე: პირველი სესხის ბილეთებისა — იანვრის 2-ს და ივლისის 1-ს; მეორე სესხის ბილეთებისა მარტის 1-ს და ენკენისთვის 1-ს ყოველ-წლივ შემდეგის პლანით: ერთი მოგება არის 200,000 მანათიანი, ერთი 75,000 მან., ერთი 40,000 მანათიანი, ერთი 25,000 მანათიანი, სამი 10,000 მან., ხუთი 8,000 მან. რვა 5,000 მან. ოცი 1000 მან. და ორას სამოცი 500 მანათიანი. მომგები ბილეთის დაჭვევა რომ ტირაჟში არ გამოვიდეს ღირს — ათი შაური ბილეთზე. აგენტი ს. პეტერბურგის ბანკირის ფ. ა. კლიმის კანტორისა: ი. კ. საულიდი ბათუმში.

ქვემო-ხსენებული კანტორა ამით ამოწმებს, რომ აგენტი ი. კ. საულიდს

მინდობილი აქვს ჰყიდოს კანტორის სახელით ხვედრი ფულის დაცალებით 5% სახელმწიფო მომგები ბილეთები ორთავე სესხისა, აგრეთვე მიიღოს ისინი დასაზღვევად ტირაჟში გამოსვლიდან, თანახმად კანტორისაგან მიცემულის ვექილობისა.

(10—7) ბანკირის კანტორა ფ. ა. კლიმისა ს. პეტერბურგში.

Поз. ценз. Тифлисъ, 23 Февраля 1885 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.